



№ 33

წ. 11

წელიწადი 5 მ., ნანევარ წლით 3 მ., ცალ-  
კ წომეზი 10 კ. ხელის მოწერა მიიღება ქარ-  
დრამატ. საზოგ. კანტორაში და „სორაპანს“  
ის სტამბაში. მისამართი: Тифлиზь, ред.  
„Театри да Цховრება“ ჟოს. იმედაშვილი

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაბეჭდე-  
ბა.—ხელთნაწერები საქორთვეზისებერ შეს-  
წორდება.—რედაქტორთან პირისპირ მო-  
ლაპარაკება შეიძლება „სორაპანს“ სტამბის  
კანტორაში—დილით 9—2 ს., საღამოთი  
5—7 ს., ტელეფონი № 15-41

№ 33

კ ვ ი რ ა 19 ლ ვ ი ნ ო ბ ი ს ი ვ ა

1914 წ.

19 ლვინობისთვი

კერას ნუ  
გავაციებთ.

ქართული დრამატიული ხელოვ-  
ნება თბილისში და მისი მსახური  
დასი ამ ჟამად განსაცდელშია...

დაემხო ოჯახი, ჩანელდა კერა!

და სწორედ იმ დროს, როდესაც ახალი  
ძალა ფრთის გაშლას აპირებდა!

ამ ახალმა ძალამ უკვე დაუმტკიცა სა-  
ზოგადოებას, რომ შემოქმედებითი მუშაობა  
შეუძლიან, რომ ჩვენი სცენა განახლების  
გზას დაადგა, მაგრამ...

ამ დროს ჩაეფუშა თავშესაფარი, სამსხვერ-  
ბლო თვისი...

გულსაკლავია გზაკვალ აბნეულ, დაო  
ბლებულ მსახიობთა აწინდელი მდგომარე-  
ობა!.. და მით უფრო ტრალიკულია მათი  
ხვედრი, რომ ამას ჩვენი საზოგადოება  
ვერა ჰგონობს და არც უნდა იგონოს...

სოფელშიაც-კი ვისმეს თუ უცაბედი უბე-  
დურება ეწვია—თივა დაეწვა, ძნა, ანუ სა-  
ხლი,—მეზობლები, მთელი სოფელი ხელს  
შეიხმარებენ და ფეხზე დაყენებენ ხოლმე,  
ჩვენს დედა ქალაქში-კი, სადაც ქართველთა  
გონებრივი მთავარი ძარღვი სცემს, აქ რითი  
ვასცეს პასუხი ქართულ დასს?

—სამჯერ გამართულ წარმოდგენაზე  
სრული გულციობით...

საკუთარ კერა მოშლილი დასი ქალაქის  
ერთი უბნიდან მეორეში მიმოღვის, ერთი სახლი-  
დან—სხვა სახლში, რევეტეციებს მართავს  
ხან სცენაზე, მძიმე პირობებში, ხან სადმე  
კუთხეში, ხან სად...

არა აქვს საკუთარი კუთხე, ტანისამოსი  
იარაღი, დეკორაციები, ბუტაფორია...

არა აქვს ერთი ადგილი, მუდმივი ბინა,  
თვის კირ-ვარამზე რა მოილაპარაკოს...

არა აქვს შემოსავალი, რომ უსაქიროესი  
მოთხოვნილებანი დაიკმაყოფილოს და ამ  
დროს... ჩვენი საზოგადოების „ნაღები“ ან  
ცხელცხელ სიტყვებით მოსთქვამს „ეროვ-  
ნულ უბედურებას“, ან ფილოსოფიური სი-  
დინჯით გვივლის, ვითომ და არაფერი...

ახალგაზდა რეჟისორებმა ცნობილ მხა-  
ტვართ დახატვინეს სხვა და სხვა დეკორაციის,  
ტანისამოსების თუ ტიპების ესკიზები, მოამ-  
ხავეს ყოველივე და როს აპირებდენ თავის  
ნაშრომის გამოჩენას, სწორედ მაშინ მიეგუ-  
ლათ კარი...

და არც კი ვისმეს ეგულისხმება, მათი  
ნამუშავარი მაინც ვასინჯოს—გაუკეთებიათ  
რამე თუ არა?..



ასე ცივდება კერა სამშობლო სცენისა—  
მართალია, თბილისში რამდენიმე დასი  
მუშაობს სცენის მოყვარეთა, მაგრამ ისინი  
ხომ... ქართულ დრამატიულ დასის მაგიერო-  
ბას ვერ გასწევენ ხელოვნების მხრით?

თუ ასე წავიდა საქმე, დასს ცული დღე  
მოელის და სამშობლო ხელოვნების ახალი  
გზით განვითარებაც კაი ხნით შეფერხდება...

ახალი თეატრის აშენებამდის ჯერ კიდევ  
დრო ვაივლის და მანამ თუ ქართული  
თეატრის მრველს რიგიანი წარმოდგენები არ  
უმართეს, თანდათან გადაიჩევეა და მშობლი-  
ურ კერასაც მოსწყდება.

ამიტომ საჭიროა დასის არა მხოლოდ  
სიტყვით, და სახელით პატრონობა, არამედ სა-  
ქმიითაც, რომ გული არ გაცივდეს, კერა არ  
ჩანელდეს...

...საჭიროა მართებთ, ვისაც ეხებათ არა თუ  
ფიქრი, მანამდე.





**ვინ უნდა ააშენოს თეატრი?** ზოგი ქირი მარგებელია, რომ უთქვამთ, სწორედ ახლა უნდა დამტკიცდეს.

ქართული თეატრის დაწვამ ნათელჰყო, რომ იგი თუმცა სახელით თავ-აზნაურობას ეკუთვნოდა, საქმით მიუღის ერის კუთვნილებას შეადგენდა. ამიტომაც არის, რომ ჩვენის ქვეყნის ყოველი წოდება, ყოველი წრე ერთნაირის მწუხარებით აღნიშნავს ამ დანაკლისს და შეძლებისდაგვარად თავის წვლილსაც სწირავს ახალი ქართული ეროვნული თეატრის ასაშენებლად...

ცეცხლმა მააყუჩა, დროებით მიინც, ჩვენი წოდებრივი განსხვავება, დასური განხეთქილება.

და ეს ასეც უნდა იყოს, ვინაიდან სამშობლო ხელოვნების ტაძარი ყველასთვის ერთნაირად ძვირფასია... თეატრის აშენების ზრუნვას შეუპყრია ყველა მოაზროვნე ქართველი და ეს იყო მიზეზი, რომ 5-7 ღვინი ბისთვეს ქართ. კულტ. დაწესებულებათა წარმომადგენლების ყრილობამ თეატრის აშენებელ კომიტეტისათვის საჭიროა კანცი დაასახელა.

დიად, დასახელო და მათი არჩევა-დამტკიცება მიანდო ქართ. დრამ. საზოგადოების კრებას, რომელიც მომავალ კვირას უნდა შესდგეს.

ამ კომიტეტმა უნდა გამოჰხატოს მთელი ჩვენი ქვეყნის ნება-სურვილი, მოუყაროს თავი ყოველგვარ შემოწირულებას, დრომდე ხელუხლებლად შეინახოს, ჰზარდოს და, ალბად, იგივე უნდა შეუდგეს სათეატრო ადგილის გამოძენასა და თეატრის აშენებას. ჯერ კი უმთავრესად ფულის შეკრება საჭიროა..

ფულის შეკრება არა მხოლოდ მიდიართა ანუ თავ-აზნაურთა შორის, არამედ მთელ საქართველოში, ყოველ სოფელში, ყოველ ქართველისგან... ჩვენთვის უფრო დიდი მნიშვნელობა აქვს, ქართული ეროვნული თეატრის ასაშენებლად ყოველმა ქართველმა მოიტანოს თითო აგური მიინც, ვიდრე ერთმა და ორმა შესწიროს თანხა და ამითი გათავდეს საქმე.


მართალია 5-7 ღვინობისთვის კრებაზე ზვიდან დასახელებს კომიტეტის კანდიდატი, რომელთა კეთილზინდისიერებასა და ავტორიტეტში ექვიც არ შეგვეპარება, მაგრამ შეიძლება ბევრმა მათგანმა, სხვა საქმეებით დატვირთულმა, ან არ იყოსროს კომიტეტის წევრობა, ან თვის სურვილის წინააღმდეგ არჩეულმა, კომიტეტის წევრის სახელი ატაროს, ხოლო კომიტეტში კი ვერ იმუშაოს მოუცლელობისა გამო, როგორც ეს სჩვევია ბევრ ჩვენს საზოგადო დაწესებულებათა წევრთ. თეატრი ცოცხალი საქმეა: თუ წინ არ მიმოძრაობს—სიკვდილი მოეღის, მის ასახვად ფულის შეკრება უფრო მეტს სიფიზილეს, მუდმივ მუშაობას თხოულობს და ამიტომაც საჭიროა მის სათავეში მოსაქმე, მოძრავი ხალხი. ჩაეყენოთ, რომელიც ჩვენის ქვეყნის ჰოველ კუთხეში გააბავს ქსელს, და არა მოღილილი ანუ სხვა საქმით დატვირთული...

მომავალ ქართულ თეატრში უნდა გამოისახოს მთელი ქართველი ხალხის სულისკვეთება, მთელი მისი ჰენია და ამიტომ მის აშენების საქმეც მხოლოდ ერთს რომელსამე წოდებას, ერთ წრეს ანუ ჯგუფს არ უნდა ეინდოს...

ამიტომ მოუწოდებთ ყველას, ვისაც სამშობლო თეატრი ცოტაოდენ ღირებულებად მიინც მიანჩია, დაესწროს დრამ. საზ. კრებას (გადამწყვეტი ხმისთვის საჭიროა საწევრო მან. გადახდილი ჰქონდეს) და, თუ 5-7 ღვინობისთვის დასახელებული პირნი უარს იტყვიან, შესაფერი კაცების არჩევა-დამტკიცებას შეუწყოს ხელი...

სასურველია, ამ კრებას დაესწრნენ ჩვენის ქვეყნის სხვადასხვა კუთხის (პროვინციელ) კულტურულ დაწესებულებათა წარმომადგენელნიც. სათათბირო ხმით მიინც.

კიდევ ერთი კვირა გვიძევს წინ და ამ თავითვე მოვიფიქროთ, ავწონ-დავწონოთ, ვის მივანდოთ ქართული თეატრის აშენების საქმე.



## ნ ა ხ ნ ო ბ ი

უნუგეშო და ღონე მიხდილი,  
მუდამ მწყურვალი, მუდამ მშვიერი,  
დავეხეტები ნაცნობ ქუჩებში  
და ნალველანარევი სიძლერას ვმღერო.

არავინ ისმენთ, არც არავინ გრძობთ  
ჩემს ღრმა ვაებას, ჩემს საგალობელს;  
თვალეებს მარიდებთ, თითქოს ველარ მცნობთ,  
ლუკმაზე ზრუნვით სიცოცხლის მგომობელს.

ნურც მღირსებია ეგ თანაგრძობა!..  
და თუ თქვენ შორის მოვკვდე მშვიერი, —  
მაშინ დაგებშოთ მართლა ეგ ცნობა,  
რომ ველარ ვეცნოთ ჩემი იერი.

## ს ი ყ ვ ა რ უ ლ ი

— ყველაზე უმშვენნიერესი, ყოველისფერ-  
ზე უტკბესი ცხოვრებაში სიყვარულია. სიყვა-  
რული რომ არ იყოს, ადამიანის ცხოვრება  
მეტად უგემური და უფერული, მეტად მოსა-  
წყენი იქნებოდა! ეუბნებოდა მიშა შინას.  
ხელი წელზე შამოგხვია, დრო-და-დრო თვა-  
ლებში ჩააჩერდებოდა და შემდეგ ტუჩებში  
ჩაეკონებოდა.

სიყვარულით სავსე თვალეებით შეჩერებო-  
და მას ნინა და გულზე ეკროდა, თითქოს  
უნდა შეუსისხლბორცდეს მიშას, რომ ორივეს  
ერთი სხეული ჰქონდეს, ერთი არსებაო.

ახალი ჯვარდაწერილი იყვნენ: სიყვარუ-  
ლით შეირთეს ერთმანეთი და ახლა ორივე  
უზომა ნეტარებას განიცდიდა.

— სრულებით არაფერი რომ არ იყოს  
ცხოვრებაში, სრულებით არაფერა, მხოლოდ  
სიყვარულისათვის ღირს სიცოცხლე, რადგა-  
ნაც სიყვარული ყველაფერია. წარმოსთქვა  
მიშამ.

— მამაკაცებს დიდი სარბიელი გაქვთ  
ცხოვრებაში, ჩვენი ერთადერთი სარბიელი  
თითქმის ოჯახია თქვენ შეიძლება ისეთმა  
საქმემ მიგიზიდოთ, გაგიტაცოთ, რომ სიყვა-  
რული კიდევ დაგავიწყდეთ, უმისოდ გას-

დლოთ; ჩვენკი, ქალებს, სიყვარულზე ძლიერა  
გრძობა არ ვაგვანია. ის მთელს ჩვენს არ-  
სებას აცხებს. უსიყვარულოდ ჩვენ სიცოც-  
ხლის მთავარ ძარღვს მოკლებული ვართ.  
ეუბნებოდა ნინა.

— სიყვარული ღირსია, რომ იმისთვის  
ადამიანმა იცოცხლოს, უკვდავება ბედნიე-  
რება, სრული კმაყოფილება სიყვარულშია  
ამბობდა მიშა და ნინას მაგრად იკრავდა  
გულში.

— როდესაც წარმოვიდგენ, თუ რა დი-  
დი, უზომო, უსაზღვრო ბედნიერებაა სიყვა-  
რული, ვფიქრობ რა უნუგეშო უნდა იყოს  
იმათი ცხოვრება, განსაკუთრებით იმ ქალებ-  
ბისა, რომლებსაც არასოდეს არ გამოუყვდიათ  
ღრმა, ძლიერი სიყვარული. წარმოსთქვა  
ნინამ.

— ყოველივე დიადი, უაღრესი, მიუწლო-  
მელი მხოლოდ ცალია. ქრისტიანობამ მით  
დაამარცხა წარმართობა, რომ მრავალ ღმერ-  
თებს ერთი უსრულესი ღმერთი დაუპირდა-  
პირა. ძლიერი სიყვარულიც მარტო ერთია;  
ამ სიყვარულს ადამიანი თავის სიცოცხლეს  
მხოლოდ ერთხელ განიცდის.

— მეცა მგონია, რომ ძლიერი, ქეშმარი-  
ტი სიყვარული მხოლოდ ერთხელ შეიძლება.

— როდესაც ირწმუნებიან: არა, მეორე-  
თაც შეიძლება ნამდვილი, ღრმა სიყვარული,  
მესამეთაც, ეს დიდი შეცდოზაა, ფსიხოლო-  
გიური შეუძლებლობა. თუ პირველი იყო  
ღრმა სიყვარული, მეორე და მესამე შეუძლე-  
ბელია. თუ მეორეა ან მესამე ღრმა სიყვა-  
რული, მაშინ პირველი არა ყოფილა. ხში-  
რად წუთიერი გატაცება სიყვარულად მიაჩ-  
ნიათ. სიყვარული უკვდავი, სამარადისო გრ-  
ძნობაა და წუთიერ გატაცებასთან მას  
არავითარი კავშირი არა აქვს ადამიანი  
ერთხელ იბადება, მხოლოდ ერთხელ განიც-  
დის ქეშმარიტ, ღრმა სიყვარულს.

— როცა შენ გიყურებ, მიშა, ასე მგო-  
ნია, მუდამ, ყოველთვის მიყვარდი, მაშინაცკი,  
როცა არ მენახე, არ გიცნობდი. მე ველარ  
წარმომიდგენია ჩემს ცხოვრებაში ვერც ერ-  
თი წამი, როცა შენ არ მყვარებოდე.

— მე მრწამს, რომ მე და შენი სიყვარული  
ჩვენზედ აღრე იყო. სანამდის მე და შენ და-

ვიბადებოდით, ის არსებობდა. სად ან როგორის სახით, არ ვიცი; მაგრამ მრწამს. ღრმა-და მრწამს, არსებობდა და თავის გამოხატვის, გამოაშკარებას, დაბადებას ელოდა.

ღლეები ვარბოდნენ, თვეები ერთი-მეორეს მისდევდნენ. ახალგაზრდა კოლქპართა ნეტარებას არაფერი არღვევდა.

როდესაც ნინამ იგრძნო, რომ სხეულში ახალი არსება გაუჩნდა, მისმა ბედნიერებამ უმაღლეს წერტილს მიაღწია.

— მე დედა შევიქმნები, დედა! ღმერთო, რა ბედნიერებაა! მე მგონია, ყოველივე ეს სიზმარია მხოლოდ, მხოლოდ ოცნება.

მან გაუზიარა თავისი სიხარული მიშას. მიშას სახე გაუბრწყინდა.

— როდესაც ჰხედავ, რომ მამა ხარ, როდესაც საკუთარ სისხლსა და ხორცს უყურებ და ის ინძრევა, ქულოპინებს, იღიმება, დიდი ბედნიერებაა! ეუბნებოდა მიშა კოლს.

ბედნიერი კოლი და ქმარი ხშირად მთელი საღამო ისხდნენ და ბავშვს სახელს ურჩევდნენ.

— თუ გოგო იქნა, თამარა დავარქვავთ. ამბობდა ნინა.

— თამარა მეტად გავრცელებული სახელია. ქეთუშა ჯობია.

— არა, ქეთევანი რა სახელია, თამარა უმჯობესია!

— ძალიან კარგი. მხოლოდ თუ ბიჭი იქნა, შალვა დავარქვავთ.

— არა, არა, ზურა ჯობია! იყო ერთი კამათი იმის შესახებ, ზურა ჯობდა თუ შალვა სახელად.

სულწასული ელოდნენ ბავშვის დაბადებას. ქალი დაიბადა.

ნინას ძალიან უნდოდა, ბავშვი თავისი ძუძუთი გაეზარდა, მაგრამ ერთობ დასუსტდა და ვერ შესძლო.

ძიძა მოიყვანეს.

ნინა წაჰოლდა ლოგინიდან, მაგრამ ვეღარ მოჯობინდა. დრო-და-დრო ტანში აუზრიალებდა, უმადოთ იყო, ხელფეხი უფოლიანდებოდა, აქა-იქ ახველებდა, თანდათან ხდებოდა, ყვითლდებოდა.



### მსახიობი ქალი ნინო დავითაშვილი

ქუთაისის დრამატული დასაშა მიწვეული.

მოწვეულმა ექიმმა თავი ჩაიქნია და კონსილიუმი დანიშნა.

— თქვენს კოლს ფილტვების ქლეკი აქვს დაწყებული. აუწყა კონსილიუმმა მიშას.

სამართალში რომ ჰყოფილიყო მიცემული და სიკვდილით დასჯა გადაწყვიტათ, ეს ამაზე უფრო ძლიერ არ იმოქმედებდა მიშაზე

მთელ მის მომავალს, მთელ მის ცხოვრებას შავი ზეწარი გადაეფარა.

— გადამირჩინეთ როგორმე ჩემი ნინა, გადამირჩინეთ! — თვალცრემლიანი ეხვეწებოდა ის ექიმებს: უმისოდ ცხოვრება არ შემიძლია. ნუ დამოხრავთ. ქვეყნის ვალს ვიკისრებ, ოღონდ ეგ მომიჩინეთ.

ექიმები ჩუმად უსმენდნენ, რადგანაც ამ შემთხვევაში თავის სრულ უძღურებას გრძნობდნენ.

— ღმერთო, ნუ თუ ნინა უნდა მომიკვდეს, ნუ თუ ნინა აღარ მეყოლებას? წამოიძახებდა ის, როცა მეორე ოთახში გავიღოდა, გიყვივით დაიწყებდა სიარულს და სიმწრით თმას იგლეჯდა.

კონსილიუმს კონსილიუმზე ნიშნავდა. ავადმყოფობაც შეუჩერებლად განაგრძობდა თავის საქმეს.

სადაც კი ურჩიეს ექიმებმა, მიშამ ყველგან წაიყვანა კოლი — ზღვაზე, მთაზე, — მაგრამ ყოველივემ უქმად, უნაყოფოდ ჩაიარა.

(დასასრული იქნება)

ავ. კ. მთელი



# მ ო ხ ე რ ხ ე ზ უ ლ ი დ რ ო

ჩვენი ისტორიული სიღარიბე ისეთია, რომ მუდამ უამრავი განსხვავებული კარზე გვატყდება და მწუხარება, ვი და ვიში გავუთავებულა. კიდევაც ვსტიროთ, ვსტიროთ, დაუბოლოებელი და რაც შეეძლოს დრო გავდინო, მით უფრო სისწრაფეებითა ვი ვივარდებით, გონება გვეფიქრებთ, ენერჯია დუნიკის და სისათით ირეკება.

კახეთში და სხვა რეგიონებში ადგილია მიხეილი „ქართული თეატრის კარგე მუშა“, რომელიც რაღაც სამკლავიანო ფურცლებს წარმოადგენს და სხვადასხვა ერთმანეთს ვეკავებებით მოთქმაში, წუწუნებაში, ტირილში. რა თქმა უნდა, სხვათა დანაკლისის ქართული თეატრის განდევნება, მაგრამ ნუ თუ დავს, რადესაც უნდა სწავლობდეს თვით უფროსი არ უფროსა სკოლაში მთელი ქართული ერის, რადესაც კარს ისეთი დრო მოგვდომია, რომლის მსგავსი არასოდეს გავივარდებთ, არა თუ მთელი ქვეყნიერებისათვის, არამედ ისეთ ზეტარს ერთობისად, როგორც ჩვენს ვართ, მხოლოდ ამ ერთმა ნიუთერმა დანაკლისმა უნდა დანადგოს ამ დიდი მომეტირის მნიშვნელობის შეტევა და მისთვის ვაგანანს და მწუხარებას მოვანდომთ ერის მთელი ენერჯია!

ნუ თუ მართლაც იმდენად დაუდურებულა სულიერად ქართველი ერი, რომ რაღაც ნახევარი მილიონის, თუნდაც ერთი მილიონის, ზარალმა აკრე თავზარი დაგვექს და იგი „ერთი უბედურება“ დავსხათ!

შეიძლება მაგალითი უბედოლო იყოს, მაგრამ მე ვინც ვართ ადამიანი, რომელიც სწორედ ამ დროებით, თითქმის ამაზე მეტი ზარალი მოუვიდა, თითქმის მთელი მისი ქონება დამხსნარ, მაგრამ მინც იმდენი შესტყირის თავის მომავალს და ოდნავად არ შეიძლება მისი ენერჯია და ნუ თუ „ქართული ერი“, მთელი საქართველო უნდა გასტეხოს თეატრის დევე!

ერთობა გააქვრება არ ვარა! სირცხვილია!

„სელოფების ტარი დიდიუა“, „სამომბოლოს კერა დიქცა“, „ერთი უბედურება დევეტუდა“ და სხ. და სხ. ამ გვარს სხვა ენებებს გავწვდის ჩვენი ზრეა და კერძო ზარნიც,


მაგრამ სწორედ დანაშაულობაა ერის წინაშე ისეთი სულმოკლეობა. ხომ სდგება სხვა და სხვა კომისიები, ორგანიზაციები, მოდის კერძო ზიარტან შემოწინებულება და ჩვენც სწორედ სრული სიდიდით, აუღევებელი ამ მხარეს უნდა მივაქციოთ ყურადღება.

დიდი ხანია უნდა მიმხედარიყავით, აქამდისაც უნდა გვეფიქრად და მოგვეწოდებოდნენ „ერთი უბედურება“ ფონდაც, სხვადასხვა კარგელებს შეძლებისდაგვარად, თავის შემოსავლის კვლავსაზე, როგორც სხვადასხვა ბეკარა, წლიდან წლამდე შეეტანა თვისი წვლილი და დეე; ამ უბედურებებში მინც მივაგვადროს და თუ კი გარეშე ზიარტანთა ეს შესაძლებელია, შეექმნათ ორგანიზაციები, ან უკეთესია არსებულში ორგანიზაციებში: კ. გ. სსრკ-ის დევე და კახეთის დევეებში, ბნკებში, ადგილობრივ ინტელიგენტურებში უფროსებში მოაწესრიგოს, მიიზიდოს სამომავლოდ ამგვარ ორგანიზაციების გარეშე მდგარი ახალი ძალები და თუ ამ საქმეს რავინადა გაუდგებით, სამომავლოდ წლის განმავლობაში დაახლოება „ერთი უბედურება“ ობსტაკლ და სუთჯერ იმაზე მეტი, რაც ახლა ზარალი მოგვავიდა.

სამკლავიანო ბარათებს, მოთქმას და ზარს კი თავი დავანებოთ, სირცხვილია. არც თუ ისეთი უამრავი თანხა სსრკ-ის თეატრის შენობისათვის, თუ საქმეს უფრო ცოდნით და ფრთხილად მოგვედებით, ვიდრე ამ სთავტრო შენობის აშენებისა და განსხვავების დროს ვეკიდებოდით, რადგანაც სთავტრო სელოფების სიდიდე და მისი მნიშვნელობა რაღაც ჩვეულებრივ შენობაში კი არ მდგომარეობს, არამედ თვით სსრკ-ის სელოფების სიდიდეში.

არსად თეატრის შენობები არაფერს განსაცდის არ წარმოადგენს; სსრკ-ის თეატრს მაგალითად მოსკოვში სულაც ვერ შეამჩნევთ, მაგრამ თვით სსრკ-ის თეატრი კი მთელი ქვეყნიერების უფელ კუთხიდანაც მოსწავს.

დეე; ქართული თეატრის შენობის დეცნით განდევნება სსრკ-ის მომსახურებელი ენერჯიის, რომელიც ქართული ერი იმ დეცნის დევე განწმენილი დევეებს ახალს ცხოვრებას.





დეჲ, ეს სჲშინელი ტქცხლის ჯლი იმის მომსწავებელი იყოს, რომ ფერფელთაგან იმ ნანგრევებსე ჯსდანი თჲაღწაწმტა-ცნი სრჲ-ნჲლატნი გჲშენდებჲან. გჲღჲწარბეჲს უბედურებისჲ-კი ჯრ ვარგჲ! კჲმარა ტირილი! სირტხეილი!



**ს. დადიანი.**

**სული სწუხს!**

(ბაირონიდან)

სული სწუხს! ჩჲარა, ჩჲარა, მგოსანო! ჰა, ოქროს ჩანგი, მოჰკიდე ხელი; დაჰკა მის სიმებს, რომ შემასმინო ხმა სამოთხისა, გულის დამწველი!..  
და თუ შავ-ბედმა მთლად არ წარმტაცა იმედის სხივი ნუგეში ჩემი,—  
კვლავ გაიღვიძებს და ჩემთა თვალთაც წასკდებათ ცრემლი—შეგების მომცემი!..  
ვითა გვირგვინი ჩემის დიდების, ისევე მზარავს ხმა მხიარული...  
მგოსანო, სევდის ჰანგი მასმინე, მიშველე; თორემ გაიბო გული!..  
იგი არავის არას უშბელდა,  
დღუმდა—ღუმილმა მოუკლა ძალა—  
და მარად მკერდ-ქვეშ იჲუნთებოდა  
ვით სასიკვდილო შხამის ფილა!...

**ბ. ახოსპირელი**



**ე ქ ი ე, ს უ ლ ო უ.**

(საძიებელ ღვთობას)

...სად, სად გიპოვი?!  
საძილისპირო ბოდვაში შენ სახელს გა-  
მოსთქვამენ მითროლოვარე ტუჩები... გული  
და გრძნობა შენს ლოცვა-ღაღადისში ილე-  
ვიან...  
ნეტა იცოდე, თუ რა რიგ გინმობენ!..  
სულის შენი სიკაცხლით სავენ ნეტა-  
რება-ბედნიერების ხატება ელანდება...  
ნუ თუ, ჩემი სულის ღაღადისი—შენის  
ხილვისა უნდა დარჩეს „ხმად მღაღადებლისად  
ულაბნოსა შინაჲ?!  
ზღვის მყინვარე მღელვარებაში ვგრძნობ  
შენ სიკაცხლეს, შენს გარღუვალობა-უეც-  
დაებას!...

შენ, რომელიც აღმოცენდი ჩემის წარ-  
მოდგენით, უძილოდ გატარებულ დამეგების  
ლოცვებში,—ჩანთქე ჩემი სულის სიმშვიდე-  
უზრუნველობა!..

შენ ქარი ხარ,—ამბობოქრებულ ოკეანის  
ტალღათ სრიალისგან შობილი, რომელმაც  
სფეროს სივრცეში გაანიავე ველურ სულის  
ღაღადისი... და სივრცის დუმბოლს ასმენ  
ყრულ ამოძახილ—ჩემ გულის კენესას...

შენ მოჰფინე მთელ სამყაროს ველურ  
სულის ღაღადისი და გულის კენესა ჩაქუ-  
ხის ქვითინს შეუერთე. თვით ცხოველ-  
მყოფელ მზეს აახელო...

მაგრამ პასუხი-კი ვერ მაღირსე!..

ნეტა თუ, ოდესმე მიინც მელირსება?!.

თუ არ ხარ, ჩემი სულის ღმერთა, მაშ  
რად ვლოცულობ და მხობილი შენ ფერხთ  
წინაშე?.. როს განიცენებ ოცნების ასულო,  
ნეტარის ძილით, ზღვის სარეცელზე?..

ახ! რომ იცოდე, რა რიგად მსურს შენ  
ფერხთ ვემთხვიო... ღმილი შენი გავიზიარო...  
შენი მარადილ სუნთქვით ვისუნთქო... შენი  
სიკაცხლით ვიკოცხო—ვინეტარო!..

თუ ნანახი არა მყევხარ, მაშ რად და-  
გეძებ?.. ბუნდოვანად შენი სხეული რად  
მეხატება ჰე, სულის ღანდო!?

—აღთქმულ ქვეყნის ასულო, სიზმრად  
ხმობილო, ეხად სიზმარში შობილო—ჩემი  
სულის ღობილო... ვგონებ სიზმრად გიხილე!..

... რომ არ ვიცი გადაწყვეტით, რა, რა გიწოლო?!..

ვიცი, უნდა გეძიო... მაგრამ, რომ არ  
ვიცი დანამდვილებით სად, სად გეძიო?... ან  
სით მოგხზო?!.

რა ჟამს მოხვალ,—სად და როგორ?..

—საღამოს, შუალამისას თუ განთიადს?..

ოჰ! ეს კი დანამდვილებით ვიცი, რომ  
განთიადს მოხვალ—ჩემი სულის განთიადო!.,  
შენით მასაზრდოვებდი და ვსაზრდოვებ  
შენით,—სულლო ჩემო! . . .

... სულო ჩემო!..

რად ჩამაყრუებულავე სევდის მორევში?..  
რად დაიკარგე მშვიდობა და რად დაიმკიდ-  
რე სამარადისო მოუსვენრობა—„არაღის“  
ძიება?.. რად მისჩრებხზარ შემოდგომის  
გატრეცილი ცის ტატრობს?.. რად უსმენ  
ზღვის ტალღათკრციალს?.. ვის უყვი  
მთვარიან ღამეს მთის მწვერვალზე?..


რას ელი, რას?.. სულო ჩემო?!..

ეძიე სულო—ძიების მონავე!

**ვ. ალულიშვილი**



პირველი  
ხელნაწილი



### მსახობი ი. ივანიძე

...ბატონებო, რა საჭიროა ბევრი ლაპარაკი?.. თუ ხალხი არ მოდის ჩვენთან, ჩვენ მივიდეთ მასთან!..

კიდევ მოსამზადებელ კლასში მივე პატიოსანი სიტყვა ცოლათ შერთვისა, და მინდოდა პირველ გამოსვლისთანავე ენახა სცენაზე ნესტანს მისთვის ცრემლ. შეუშროვბლი ტარიელ.

უპირველეს ყოვლისა სასცენო გვარი მოვიგონე: დავირქვი „სალეინ როსიშვილი“... პირველი წარმოდგენისათვის, რა თქმა უნდა შილდერის „ყაჩადები“ გამოავახადე; ვინაიდან ამ ტრაველიაში მე მარტო ფრანცის როლი მაინტერესებდა, ავიღე მხოლოდ მეხუთე მოქმედება და შევეკეთე ისე, რომ ვერაგი ფრანცის სახე ნათლად დამდგარიყო მაყურებელთა წინაშე: ამოგკრიბე წინა მოქმედებებში საუკეთესო ადგილები, როგორცაა, მაგალითად—მაშის დახრჩობის სცენა, ის სცენა, როცა ამალია ფრანც მოორის სილას გაარტყამს და ხმაღს წაართმევს ქარქაშიდან, აგრეთვე რამდენიმე სხვა ადგილიც და ყველა ეს კონტად ჩაურთე მეხუთე მოქმედებას.

ამით შილდერმა, რა თქმა უნდა, თუ მოიგო, თორემ არაფერი წაუგია!

დადგა წარმოდგენის საღამოც. გრიობი ჩინებული გამოვიდა. ეს იმიტომ, რომ პარიკი არ გავიკეთე. რაც უნდა კარგათ გაიკეთოს მსახობმა პარიკი, მაინც ემჩნევა, რომ საკუთარი თმა არ არის. ესეც არ იყოს პარიკს რომ იწებებ შუბლზე და საფეთქლებზე, პირის კანს სკიმავეს და მიმიკს უშლის. ამ მიზეზების მიხედვით ვარჩიე ისევე ჩემის თმით გამოსვლა. ავიღე წითელი მელანი, შევიღებე თმა და მორჩა. საკუთრივ ჩემ მიერ შეკერილი მოკლე შარვალი და სა-

ლამური გრძელი პერანგი რომ ჩავიცვი და კუხისავითაც კარგა მოზრდილი ბალიში შევიტენე პერანგში მარცხენა ბეჭის ზემოთ, სარკეში ჩავხედე: ნამდვილი ფრანც მოორი იდგა ჩემს წინაშე. თავის ჩამოსახრჩობი მოწყობილობაც, რა თქმა უნდა, მზად შექონდა. ამ მიზნისათვის წელზე შემოვიტყე მსხვილი თოკი, გამოვსკვენი უკან და შემდეგ უკანვე პერანგის საყელოში ამოვიტანე, კისრის ხერხემალით მარყუჯად..

დაჰკრეს მესამე ხარი და ვიგრძენი, რომ ამ სოფლიურ განცდას განვეშორე, ჩემი საკუთარი სახე და ფსიხოლოგია გამიქრა და ფრანც მოორად ვიქცე.

ავაკოვლი მარცხენა ფეხზე და საზარელი ღრიალი შევევარი სცენაზე შევევარი თუ არა, პარტერიდან რაღაც უნააური ხმაურობა მომესმა: თითქოს იცინოდნენ. სხვა რომ ყო ფილიყო ჩემს ადგილას, იმ ხმაურობას მართლაც სიცილად მიიღებდა, მაგ. მე კარგად ვიცოდი ჩემი თავის ფასი: რა მქონდა სასაცილო? არ შევეპუე იმ ხმაურობას და თამაში დავიწყე. ნამდვილი თავდავიწყება განვიცადე. აღრაფერი მახსოვდა გარდა ჩემის როლისა და არც არა მეყურებოდა რა. ისე ვიყავი გატაცებული, რომ მხოლოდ შუა თამაშში შევამჩნიე, რომ კუხი ჩამომვარდნოდა, ზედ თეძოზე მომქცოდა და მარცხენა ფეხის მაგიერ, მარჯვენაზე დამეწყო კოკლობა.

—მამაციებს, დანიე-ე-ელ! მამაციებს, ჩემო დანიე-ე-ელ!—ვიძახოდი მე და ვგრძნობდი, რომ მთელი ჩემი სხეული საშინლად კანკალებდა, ხტოდა და კუხიც საზარლათ ქანაობდა თეძოზე, თავისთვის.

შეულარებელი ვიყავი იმ დროს! ეს მე ნამდვილად ვიცი, რადგან შემთხვევით თვალი მოვახლე პარტერს და დავინახე, რომ უმეტესობას ვეღარ აეტანა ჩემი ფრანცის საზარელ სახის ცქერა და ზურგი შეექცია სცენისათვის.

—ჯერ სიდა ხართ?— ვფიქრობდი მე: თქვენ ბოლო ნახეთ, ბოლო! ნახეთ, როგორ ჩამოვიხრჩო თავი და გაუძელით საშინელ სურათს!

(დასასრული იქნება)

თაგუნა





ქართული დამწვარი თეატრი

## ქართული თეატრის დაწვის ბავშვები

სოფლად ვიყავი. ქუთაისს რო ჩავედინე და ქართული ეროვნული სიმღიდრის დაღუპვის ამბავი გავიგე, გავრინდლი, ამოვიკენსე .. მაგრამ..

სხვა და სხვა ქირი ჩვენზედა...

კვლავ ახალი ქირი, ახალი განსაცდელი, ახალი ზარალი და დიდი ზარალი.

მას შემდეგ დღე ყოველ, ყველა გაზეთში ტირილი და გოდება:—

„დავიღუპეთ, დავივსეთ, დაიშო ფასდაუდებელი განძი, განვადგურდით“... და მისთანები..

ნეტა ამ წუწუნით აღვადგენთ რასმე? არ ახალია, ძველია.

მაგრამ ვის, როდის, რა აუგია და აუშენებია ტირილითა და წუწუნით?

ბაღი, ღლაბი იტირებს, მას ხუხულას, გოჯილას აუშენებენ ერთი წამისას.

პალატ-დარბაზი და ეროვნული განძეული ცრემლით არ აგვიშენდება.

ყოველმა ქართველმა გაიღოს წვლილი თვისი, ვისაც რა ელონება და შეუძლია. სახელისათვის, დიდი საქმისთვის და ფენიქსისებრ განახლება და აღზდგება დაქეული..

—სწორედ ბედნიერია შენი ძმა კოტე, რომ ამ უბედურობას არ მოესწრა—

ამ სიტყვებით ბევრი შემხვდა ქუთაისის ჩასვლისას ..

ვიცი კოტეს ძალიან უყვარდა აწ ცეცხლის მსხვერპლად ქცეული თეატრი. ამაყობდა საცოდავი ჩემი ძმა ამ ეროვნული სიმღიდრით და მუდამ, როცა თბილისში მოგხვდებოდი, დამატარებდა ამ ეროვნულ ტაძარს და მის სახეზე კმაყოფილება, სიხარული იხატებოდა.

მაგრამ ასკეცი იქნებოდა ეს სიამაყე და სიხარული მისთვის—ეცოცხლა და შეს-

წრებოდა იმ დროს, ოდეს ქართველობა, ნაცვლად გოდება წუწუნისა, ბეჯითად და გულით შეუდგებოდა დაქეულის აღდგენას..

და რომელია ქართველმა არ იცოდა მისი ფასი?

ამ ფასის ცოდნაც ის იქნება, თუ...

ზღვა ცვარისგან შესდგება. მოვლევადეთ. თითო ცვარი თითოეულმა ქართველმა.

ყოველმა თავის წვლილი.

მეც ჩემს წვლილს, ვინიდან სხვა სახსარი არ მბადია:—ყოველ წელს ჩემ-მიერ ვადმოკეთებულ თუ ნათარგმნ პიესებისა ჰონორარად რამდენიმე თუმანი, ორი ხან სამი მძვდება. მივანდობ თეატრი და ცხოვრების რედაქციას ამიერიდან აიღოს ეს ჰონორარი ეროვნული თეატრის ასაშენებელი ფონდისათვის

*ლ. ჯიქია*



# ხელოვნება და სქესობრივი საკითხი

(გაგრძელება იხ. „თ. და ც.“ № 15)

ხელოვნების სახელით მორთვა ან დაფრევა უფველგვარ გადამახინჯებულ ანუ ვადამუფთურ ზიარ-ნორგრაფიასაც კი --- ამას მუ ზიარდაზიარ ძმაცურთბანს ვეძახი. მართალია, შეიძლება და მოვალეაინც ვართ მხატვრულ ბუნებათ, რომელთა გრძობები მტრის-მტად აფორიაქებული, ხშირად ავად-მუფთურად აღზნებულიც კი არის ხელში, ვა-ზატათ სქესობრივობის მხრივ მათი შესანიშნავი ნახტომები, როგორც აგრეთვე მათი დაუდგომ-ლობა, უინანტობა და სიყვარულში თავდაუტკრ-ლობა: ეს მხატვრის კიდევებით (ტუმბერამენ-ტით) არის გამოწვეული. მაგრამ ზორნორგრაფი-ის სისტემატიური გავრცელება, აგრეთვე წმინ-და წყლის სქესობრივ ბრკებისაც, რომელნიც საზოგადოებრივ ცხოვრებისკენ სასიარტხვად ავა-ფამენ გზას, ამას არ ეკუთვნის. უველასუ ნაკ-ლებად შეიძლება უველას ამას ხელოვნების სახე-ლი უწოდოთ. მხატვრების ზირადი და ავადმუ-ფური სისუსტეები და მათი ექსტრეტობა (არა-ჩუვლებრივი ქცევათა), რომელთა მსხვერპლადც ხშირად თვითონვე ხდებიან ხელში, თვითონ ხელოვნებისთან და მის ნაწარმოებთან არ უნდა იყოს არეული და, უფველ შემთხვევაში, ისინი სუკაროდ არ უნდა იყვნენ ცხოვრების სასარგებ-ლოდ და ადათებად მიჩნეულნი.


მეორეს მხრივ, ხშირად მიჩქლამულ ერო-ტიზმის იქვე ზოულობით, სადაც უველასუ ნაკლებ შეიძლებადა მთლიანადი გეჭონიყო, სხელ-დობრ --- ზოგიერთ სათნობან სამოდლორო წიგ-ნებში და, კერედ წოდებულ, ზრდილობიან რე-მანებში. იგი იქ მოქმედებს უკეთურად, თუმც სასკ-გადასული ქალწულები და კეთილმორწმუ-ნე ვახუტარები ამ წიგნებს მიამბეკებენ თავი-ან ი ევინთ-სადავებისთვის და სხეებსაც ურჩევენ როგორც საულისხმიერო წასაკითხს, როგორც უკ-ვე მოვიხსენიეთ, ზოგიერთი ამ ნაწარმოებთ-განი სქესობრივ წადილს უფრო მძლავრად და ანა ბუნებრივად აღძრეს, ვიდრე ზოდას საზო-თირო სტენები და სხ.

ერთმა განება მახვილმა ადამიანმა მართე-ბულად შეინა: „ტიტველას ადამას უზრდელი

აღდგის ფოთოლი აქვს, და არა ის, რაც იმის ქვეშ იმალებაო. სწორედ ეს გამოქანდაკებული, დახატული თუ დაწერილი და გამოთქმული ლელ-ვის ფოთლები, გინდაც რომ კეთილ მშვიდა ზნ-რით იყოს შეტანილი, უფრო ადლეკებს ავხორ-ცობას, ვიდრე ჩაქვლას მას; როგორც წმინდა ნრმა და ტრიკო, რომელშიც საქმარსად ნათ-ლად მოსხნას და გამოსტყვივის ის, რასაც ისი-ნი, ვითომდა უნდა ჭებრავდნენ, ცანილებით უფ-რო მტრ ცენხლს უკიდებენ ავხორცობას, ვიდ-რე სიტიტველის ტლანქი გამოჩენილება. ერთი სიტყვით, კეკამალულობის მთავამაშე ეროტიზ-მა უველასუ უფრო მტრის ძალით მოქმედებს. დაბლებების და სხვა ამგვარ სანახობის მომწ-ობებებში პირგათ იციან თავიანთი წმინდა ნარ-მის და ტრიკოს საშუალებით მისი სასარგებ-ლოთ გამოყენება. ზარაზის მსოფლიო გამოფე-ნასუ მუ თვითონ ვნახე არაბულ ქალის ეროტი-ული თამაში, კერედ წოდებული „Dans du ventre“ (მუდღის თამაში), რომლის დროსაც ქალი მუც-ლის, თქობების და წელის საშუალებით მიდგო-მის ჟამის უფველგვარ მოძრაობას ქსახმდა. თუმ-ცა, არ მგონია, ეს ტლანქი, ურცხვი ზანტო-მამა (მიხვრას მოხვრით ღახარკო) ეროტიზმის აზრით უფრო მძლავრათ მოქმედებდეს, ვიდრე ხუე-ნი მანდილსენებისაგან ბრწეან ვადე ბალებს

ცმული ფაქიზი გულ-ამოტრილი ტანსაცმელები ან გინდაც დაწერილობით და დახატვით გად-მოცემული ცნობალი სარწმუნოებრივ-ექსტატიური სასიყვარულო სტენები (იხ. თავი XI). მაგრამ რადგანაც ეს სტენა „ტიტო-გოლის“ ეტიკეტის მფარველობის ქვეშ ხდებო-და, ამიტომ მუდღის თამაშს ზატოცემულნი მან-დილსენებიც დავსწრენ და ზნეობრივ აღმოფ-თების სრულიად არაფოთარი ნიშანწყელი ეტეო-ბოდათ.

ლ. ცაგარელი.





# ხალხური მწერლები

## მაგალითები



მინდა ვაუწუო მკითხველებს მტირე რამ მკაცლითები:  
 შეძახს: ქალსა ვერ შესცვლის დიდი ქრთამი და მზითაობი,  
 აბრეშქის ვერას დაკლებს კრულ-კრული, ბამბა, ჩითები, —  
 მერ მისთვის მოვიწადინე მოვთვალო როგორც თათები!?

\* \*

მწერი სესე არ შემფარა, ვერც შეჯდება თავის დღეში.  
 ოქროსა და ვერცხლის მადანს ვერ იზოვით ვერსად სეში.  
 ეშმა ების მამამთავარს რა წილი აქვს სამოთხეში, —  
 ვოჯოხეთი ურხეწიანს, რომ მიეგდოს ერთ კუთხეში.

\* \*

გუგულისგან ვას ენახავს გვრიტის ბარტეი მონახევი,  
 ამასთანვე ირმის ჯოჯი ლოკოინის მონახევი,  
 ასის წლისა ბერი შეხს კაცის მუსლზე მონადრევი?  
 მხოლოდ სიმშიდს კი გაჭკურნავს ვარცღის ძირის მონათხევი.

\* \*

მხეცა ვით იქმს მოძღვრის ალაგს, ან ზირტუევი დიაკონობას,  
 კოდალა რომ სესე ურტყავს, ნუ თუ სცდილობს იგი მენობას?  
 სრული ჭკუის არ იქმნება, ვინც კი ელის მგლას ბატკნობას? —  
 ამას როგორ წარმოადგენს, თუ კი კაცი არის ცნობას.

\* \*

სხალით ჩაერილ სიძირკველი ვით დაცქერს შენობას?  
 ქვასა და კარს დაეღაროს, სცდილობს იმოდენობასა.  
 არასოდეს მოვსწრებოვარ სამთრით ვარდაის ფენობასა, —  
 კურდღელი კი ბევრი ვნახე, ჩემულობდა ცხენობასა!..

\* \*

კაცის სულის შაბურეთა კამეხი ვით წაიქრევა,  
 ამასთანვე ნემსის კურწში აქლეში ვერ გაქრევა;  
 გიყს რას არგებს მეცნიერის ბუნებისა გამოკვლევა,  
 და ბრმა კიდეც რას სზარლობს, თუ სხათელი დაილევა.

\* \*

ვორანს როგორ გაათეთრებ, რაგინდ მაგრა სანხით რეცხო?  
 სიმდღრით ვერ მოიშორებ, თუ რომ მტირე ღაქა გეცხო;  
 წიწილს როგორ გამოსხეპავ, უმამლოთა ქმნილო კვერცხო,  
 ვერც იმ შეჭმულს მოიხელებ არ გეხარშოს, ან არ გეცხო!

\* \*

კატისაგან ღომთან ბრძოლა: არასოდეს შეიძლება  
 და ბელურის ბრძანებითა არწივისა მონად სლება!  
 ენა და ზირ-შეკრულთათვის გვიან მოვა განათლება, —  
 ამას ჩვენში ვინ კითხულობს, ანუ ვის რა ენადვლება!

\* \*

მელასაგან სწორე ფიცი ვსთხოვ არავინ დაიჭეროს;  
 ბაყაი ვეფხის ვით ემცხავსვის, რაგინდ ძალზე გაიბეროს,  
 ნუ მომასწრებს დმურთი იმ დღეს, ღობემძვარა უღაზდეს წეროს,  
 მხოლოდ ქარი მთას შემუსრავს, ძალუმად რომ დაუბეროს!..

ანტონ განჯის-კარელი.

4388.

# „იორიოს ასულ“

ტრაგედია 3 მოქ. ღანუნციოსი, თარგმანი იოსებ იმედაშვილისა

და, ახუნციოს ტრაგედიას „იორიოს ასულს“, ქართულად წარმოდგენილს, სწორედ ისეთივე ბედი ეწვია, როგორც თავით ზიკის მთავარ გმირს — იორიოს ასულს — მიღა და კოდრას: როგორც ერთგან, ისე მეორეგან შეუგნობელი, დაუმსახურებელი დეჟანა... ერთნი თუ დაუმსახურებლად გაუღვენებან უჩინო ქალს და ჯადოქრად ჭნათლავენ, მეორენი გაცოცხლებენ, თვალდაჭკუიდან კითხვადობენ — რა არის, რა შინაარსიათ, თავისებურად ჭხნიან... ასეთივე ერთა შეგნობაც განსხვავებული აზრთა გამოთქვა ზიკისა და დედემასა და რალებისადმსრულელებლთა შესახებ...

**რას ამბობენ რეცენზენტები?** — რუსულ გაზეთის „კავკასი“ — ის რეცენზენტი ვინმე დ. ბრანკის: ეს ზიკის აღებულება ქართველისთვის სრულად უცნობი ცხოვრებადან, ანაწ ეუბნება არც მის ჯგუფს, არც გულის... გაგებულად ტლანქად იყო დადგულით — „ბოლოს ზოგიერთ მსახობათა თამაშს ახილავს, მოსწონს მხოლოდ ეფ. მესხის თამაში — სრულის ხელდავებით ჩატარა თავისა რელით. დასასრულად ერთ მოქმედ ზიკზე შენიშნავს: ორნელამც იარწმუნა მისი (მიღას) განცხადება, ვითომ დანაშაუდი თვითონ უთფიდიოთს, და დასწევადია... ამ შენიშვნადან სჩანს, რომ პატრიტემული რეცენზენტი ან თეატრში არა ბრძანებულა და ისე დაწერა რეცენზია, ან თავის საყარძელზე სძიებია... ნამდვილად კი ორნელა არა თუ სწევადის მიღა-დი კოდრას, არამედ უკანასკნელ წუთამდე სჯერა, რომ იგი უმანკო მსხვერპლთა სიუარულითა და თავგანწირვისა, და ამიტომაც კოდრას დასაწყევლად მიმავალ იორიოს ასულს მისძახის: „მილო! მილო! ქრისტეს მიერ დლო! ვეამბორები ფერხთა შენთა! სამოთხე იყოს შენი ჯილდო!“

„კავკასი“-ს პატრიტემული რეცენზენტს ეს სიტყვები წველად მოსწავნებია...

სამაგიეროდ მეორე რეცენზენტი მგოსან-პუბლიცისტი დეჟან ვითიანი რუსულსავე გაზეთ „კავკასი“-ში დიდის ქებით იხსენიებს როგორც ზიკის, ისე მის დადგმას:

„დადგმულ იქნას სამ მოქმედებათა **ლამაზი** ზიკის „იორიოს ასული“ და რეჟისორმა ბ. წუწუნავამ ხელახლად გაიჩვენა თავისი სამხატვრო სახელოვნო ნიჭი, ხელახლად წარმოგვადგინა ნაწვევებში გაცრეცილ ცხოვრებას; გვაჩვენა არა უსულგულო თაჯინები (მანკეები), არამედ ცოცხლი დაღმინები თავისის მწუნარებითა და სიხარულით. ამას შემდეგ დაწერს, რა საუცხოვრად იყო მოწობადი საღაანკო სცენები, რა მშვენიერი იყვენ დამთვრად და ტლანქი შეგნობა ბრთ, მწუქმსნი, მანდილოსნები და სხ. მასთანავე ზოგიერთ სცენების დადგმასა არ ეთანხმება. კერძო ამსრულელებზე ბრძანებს: ნ. ჩხეიძე (იორიოს ასული), ალ. იმედაშვილი (ადოჯი) და ელბატევიშვილი (დაძარო), განსაკუთრებამ ზირველი ორი, თავის მოწოდების უმადეს საფეხურზე იდგნენ ბოლოს დასქენს ჩხეიძი! — რა სამწუხროა, რომ ხელმწივერ ჭნახს სამართლო სცენასე მშვენიერი **პიესა, მშვენიერად დადგმული**

ასევე ერთი მეორის წინადადება აზრი გამოთქვა ქართულს ზრესში.

ცნობილი პუბლიცისტი ბ. გერონტი ქიქოძე ამ ზიკის დადგმის მთელ ფელეტონს უძღვნიან („სახალხო ფურცელი“ № 110), ფრცლად იხილავს როგორც თვით ავტორის შემოქმედებითი ხსიათს, ისე ზიკის დადგმას. იგი სწერს:

„ამ მოცანაში (და ახუნციოში) რამოდენიმე სული სცოცხლბობს და მისი შემოქმედება მრავალ სახიანა, როგორც ძვირფასა გობელინი... ის სცდილობს ძლიერი, მუდმივ დაღმინური გრძობებში და გულისთქმინა აღმოჩინოს და ნათლად გამოკვეთილს, კლასიკურად და მთავრებულს რელიეფებში ჩამოსახს...

„იორიოს ასულშია ქრისტეანული ქვეყნისა და ქრისტეანული ზნეობა წარმართის თვლებითა და ნახული. ესა ტრაგედია იდილიური და ველური ერთს და იმვე დროს, ტრაგედია უკანთი გლენებისა, რომელიც გულბორივადი რწმენითა და საუკუნოებრივი ცრუმორწმუნებით არაინ გამოსწავლული...“



„დასწრებოც ტრანკვილიტეტის ღერძის ქემის უფლებებელად დამიანურ გრძობათა შეტაკება ტრადიციულად განმტკიცებულ ძალებთან. ეს ტრადიციული შეტაკება მარტივად არაკომპრომისიზებული...“

„მთავარი გირებოც უფრო ამოცანის ზეგონის, ვიდრე უბრლო მამაკვლელო.“

„დასწრებოც იმდენად ცნობიერების ქეშმარიტობის არ ეძებს, რა ზღვრებზედ მშვენიერებასა.“

დასასრულად, ბ. გ. ქაქაძის განმარტებით, „იბრბოც ასრული“ თავგანწირვისა და სიყვარულიც დრამა...“

დადგომის მხრით ბევრმა არ ეთანხმება რეჟისორს, თუმცა მანკებზედ უზენებეს, რომ შეუძლებელია ქართული რეჟისორს, რომელიც ბევრად წინაგაღება ედობება, ისეთივე მოთხოვნებიც დაწვეულებით რაც სხვასა. ამსრულიებელთა მორბის განსაკუთრებთა ად. იმდენადღის თამაში მოსწონს.

ბ. ლევან უიფიანი თუ აღტაცებულია ზეცითა და მისა დადგომის სიღამაზით, ბ. გერბონტი ქაქაძე თუ ფილოსოფიურბა სიღამაზით ზისინის ზივის შინაზრსისა და ატტორბის მოფლმხედელობის, სემკაეროდ ბნი თეფიფი „ხსელ აზრში“ სწერს: „დასწრებოც წყალ-წყალად მწერდათა .. არბინ იცის რა შინაზრსისა იბრბოც ასრული“, რა აზრბა შიკ ჩაქსოვილი, და ან რათ ქვია მას ტრანკვილიტეტად დას სიცილის მეტს (სრულიად დამსასურებულად) არას აწვევს მსმენელბო... ტრანკვილიტეტში არ არბს მოღამინა იდეა, იქ არ არბს მხატვრული ქეშმარიტება... უაზრო ზიესაა? მსახობანი „მარიბეტიკებს მოგატრბებლათ, ვიდრე შეკრბულიათ მოქმედ ტიპებსოც და სს.“

აი, მსჯავრობა რეგნესტბტა.

რზაა საქმი.? ნუ თუ მართლად ასეთი უშინაზრო, მთლიან იღვის მოკლებულია იბრბოც ასრული“?

უნახთო.


**შინაზრბი ზიესისა:**

ხსელგაზრდა მწვემბი ალიკო დედამ დაქორწინბ, მკრამ დამე ცოლს არ მიჭკარბობა. მერე დღეს ალიკოს ნანობანი და ნთიკავნი ულოცავენ გაბღნიერბას. ამ დროს სსლში შემოიჭრება იბრბოც ასრული (მიღა და კოდრბ), რომელსაც მომკელი გლეხბი მოსღვეენ. მუშებს

უნდას სსლში შეჭვეენ მიღა და კოდრბს, მკრამ ალიკოს და კარბს ჩაუკრბავს. შემდეგ მუშებისაგან შეკრბობენ რომ მიღა და კოდრბ მკავბა და ველებ უნამუო განზრბხვით დასღვეეს. ალიკოს აბბულივდ, ეს უნამუო ქალი კარედ გაავლო და, როდესაც ალიკო აიღებს კომბალს დასარტმელებ: ბუნავ ქალის უკან დაინახავს მღუმრე ანგელოზს. ალიკო ძირს დაქმბობა და ზატბებსას სთხრებს მიღას. შემდეგ მიტრბებბა ბუნზრბან, უნდა დანიწის ხელი, რომლითაც შეუზრბხვით უნდა მიუენებინბ მიღა და კოდრბსთვის, მკრამ მიღა შეახერბებს, ჩემკან ზატბებული ხარ და დმერთიც განზატბბსო.

ალიკოს შეუყვარბება იბრბოც ასრული; იგი ხისზვან ჭკეკლბავს მღუმრე ანგელოზის სსეს, რომელიც იხსნა ალიკო ბორბტი განზრბხვისაგან. შემდეგ შემოაკვლებბ ალიკოს თავისი მამბ, რომელიც უზატბურად ეზერბობდა მიღას, ჭსურდა მისი ხელში ჩავლებბ და არ შეიწყნბა შეიღის ხეწინა-მუღბა—დაჭხნობდა მიღას. მამბს მკვლელებ შეიღს სიკვდილით დასჯას გადაუწყვეტენ, მოიფანებ დღდასობან, რომ უახასქელიად ენახს. ამ დროს შემოიჭრება მიღა და კოდრბ, მამკრბთავს ხდსს, ალიკო სრულიად არ არბს დამნაშკეო, რადგნტანებ უნდა ამით დაინხნას თავისი ზატბობა თვითონ ეწმბოს მის გულბსთვის. ალიკო უზასუხებს, მე ვარ დამნაშკეო, მე მოკვბადა მამჩემბ, მკრამ მიღა და კოდრბ უფრო სბბითიანად ამბობს: რაც მოხდა ველებიერი ჩემი ჭადბქრბობით იეოც, ამბობამ ალიკო დამნაშკე არ არბს, მე მწამეთო. ველებან მე ტადავრბანი ჩემი თვის და სხვ ჩავბეღე უეღერბასშიო. ალიკო მიუბებს: შენ კო არბ, აი, ამ მღუმრე, წმინდა ანგელოზბა გახსნა შენბ და უზენებეს თავის ქანდაკებაზე. მიღა და კოდრბ კო მიუბებს: კვ ანგელოზბი ჩემბს ჭადბქრბობით მოგავლინეთ. ამით თავზრბა დაცტემა ალიკოს და დაჭკება მიწასზე. ხოლო მიღას წაეყვანენ სწამებულად. ეს არბს მოკლე შინაზრბი ზიესისა.

სამწუზრდ გერბონტი ქაქაძემ და სხვბ რეგნესტბტბმაც არ აღნიშნეს, თავი და თავი რბსთვისაც დასწერბ დასწრებოც ეს ზიესა. დაზმინს ერთბ აქვს მხოლოდ სიციცხლე, ასევე ერთბ აქვს რწმენბ, ერთბ სიყვარული. ალიკოსაც ერთბ ჭტინდა ველებ ეს და უფედივე მოანდობამ იმ მღუმრე ანგელოზბის გამოქანდაკებას, რომელიც ბორბტი განზრბ-





სვისკან. ალიჯი ქრისტიანისა და ეს ქრისტიანობა კანკადარი აქვს თმებშიც კი. მისი უოველი დერი თმა ქრისტიანულს დოცვას იტყვის, უმცრად რომ გამოადგიოთ შუადმისას, ამიტომ დრმად შუუყვარდა ის მდუმარე ანგელოზი, რომელმაც გადაანჩინის ღამისა ასული იორიოსის. იორიოსს ალიჯის სილამაზე ბრველმთვე აბრკოდედა ალიჯის უმეხად ტაბგლო გარე და, როდესაც ანგელოზი გამოუჩნდა მფარველად, ხომ შუუყვარდა კიდევ შიდა დი კოდრას, შუუყვარდა მთელი თავისი რსებით ამ ანგელოზს და უყავთმისა ახადგახრდა მწყემსის ტული შიდა დი კოდრას ტულს. ანგელოზი გაჭქრას, ხოლო მათ დაუტეკათ სიცოცხლე, **სარწმუნოება და სიყვარული**, აი ეს სიმევე გამოჭხატა ალიჯიმ იმ მდუმარე ანგელოზის ქანდაკებაში. ეს ქანდაკება უნდა წაეღო რომს მდვადელ-მთავართან და სება გამოეყინოვან განქორწინებოდა ცოლს და შერთო ის, ვისთანაც დააკავშირას სიცოცხლემ, სარწმუნოებამ და სიყვარულმა.

შამა რომ შემთავდებას, ხელსის საწყამებლად მაჭკავს ალიჯი. მაგრამ იორიოსს ასულს კი უნდა გადააჩნოს ის კეთილი ღამიანა, რომელიც ისე იფარავდა მას და უყვარდა კიდევ. ამიტომ იორიოსს ასული თავს იღებს უოველს დანაშაულობას და თავის თავს ჯადოქარს ეძახის და ამბობს: უყვალაფერი ის, რაც მოჭხ-

და, ჩემი ჯადოქარობით აყოფო, ჯადოქარობით მოკვდიანე თვით ის ანგელოზიც; რომელიც ისე მოწიწებით და სიყვარულით გამოაქანდაკეო. აქ ამისგერკვა უყვალაფერი: სარცხსდე, სარწმუნოება და სიყვარული. უყვალაფერი ცრუვდება და სანაგულის თაყვარელ ტემისკან ეშუება ალიჯი დედამაცხე.

აი, აქ არის ტრატედიას ზეისისა. აქ ის დაქმრთა სელოკან ალიჯის, რაც დაქმრთობდა რაფაელს, რომ ვასმე დეარწმუნეინას—შენ კი არ დაჭხატე მადონას, მე დავხატე და შიგ ის აზრი სრულიადაც არ არის, რაც შენს გვინათო. ასევე მოუვა უველას ხელთფანს

იორიოსს ასულს გულებობიფულად ეგონა, ალიჯი გადაყარინიე წამებასათ და კმაყოფილებით წავიდა საწყამებლად, მაგრამ სულ წინააღმდეგობა მოჭხდა: ამით იორიოსს ასულმა სასჯარ უფრო უარესად აწამა ალიჯი, ვიდრე მოკლოდა მას.

ეს ზეიუს საინტერესათა კიდევ იმით, რომ ტრატედიას მამინ იყება, როცა თაყვება ზეიუს. შემოძლიან ესთ კიდევ დავსასქლოდ ასეთი ხასიათის ზეიუს: კი არის გოგოდას „რევიზორი“.

თარგმანის თამაზე არაფერს ვიტყვი, რადგანაც თარგმნალოდ იმ რუდაქტორისკან, რომლის შურნალობაც იბეჭდება ეს წერალო.

**ი. მჭედლიშვილი**



# ქ ა რ თ უ ლ ი ს ა ხ ი ო ბ ა

## ქუთაისის ქართული დასი\*)

„მთის ზღაპარი“, ნ. შიუკაშვილისა. „ღარისპანის გასახიანი“, დ. კლიაშვილისა. 25 ნენკისთვეს 1914 წ.

„მთის ზღაპარი“ პირველად ვნახე სენვანზე, და ისიც ძლიერ შევიწროებულ პირობებში. ქუთაისის სცენის სიღარიბე აშკარად დეტყო პიესას და გარეგნული მხარე, რომელსაც ასეთი პიესისათვის უმთავრესია, ძლიერ სუსტი და უფერული იყო. ასეთ პიესას უსათუოდ ევიგრება ზღაპრული ჩარბო, აუცილებლობა სტილის დაცვა, რადგან წინააღმდეგ შემოხვევაში მთლიანობა არ იქნება დაცული. ამისათვის კი სცენის მოწყობილება უნდა იყოს, მაგრამ როცა არაა, იმით უნდა დამეყოფილეთ, რაც არის.

„მთის ზღაპარი“ ლამაზია, მაგრამ უაზრო პიესააო, გამოგონია. არ შემოძლია ეს აზრი ვავიზიარო, რადგან **აზრიც** რომ არ ქონდეს პიესას, მისი ღირებულება

ბას მხოლოდ ეგ სიღამაზე შექმნიდა, რადგან სიღამაზე თავისთავად აზრია ავტორს პიესაში შეძლებისდაგვარად გაუშუქებია „მოვალეობის და სიყვარულის“ შეტაკება. ეს პიესა უმთავრესად ფსიხოლოგიურ ქარგაზე აგებული, და ლამაზი ქართულით, შესაფერ ჩარბოში ჩამოუხსამს თავისი აზრი. რასაკვირველია, პიესა უნაკლებლუა არაა: ზოგიერთი ადგილი ძლიერ გაჭიანურებულა და უადგილოც: მაგალითად **მელოს** სცენა არაწივთან. საერთოდ ბ. შიუკაშვილს აზრის მოკლედ გამოხატვა არ ემარჯუება. სიტყვის ჭედლობა კი თანამედროვე პიესებში აუცილებელი თვისებაა. ამასთანავე ამ პიესაში ყოველგან არაა დაცული სტილი, რაც განცდის მ ლიანობას ასუტებებს და დისონანს ქმნის.

ყადლან ჯამბურაძის (ე. გუნია) მედვარი ბუნება, რიკინასივით მაგარი და მტკილე ნებისყოფა, შიში სინილისის წინაშე, რომელიც კლდესაც ხანხანს აწყვებინებს. ბ. გუნიამ საუცხოვოდ დავგინბათ. ამისათვის მას ყველაფერი ხელს უწყობდა. მაგრამ მელოს როლის ამსრულებელი (ქ. დავითაშვილისა); ძლიერ სუტი იყო. მელოს როლი ან

\*) ეს წერილი რედაქციამ გვიან მიიღო.



სრულიად უნდა გააფუტოს მსახიობმა, ან საუცხოვოდ შესასრულოს. ქ. დავითაშვილისამ კი პირველი საუცხოვოდ მოახერხა გარეგნულმა მხარემ ყველაფერი დააკრფინა მისი დიდის ექსპრესიით ჩატარებულ როლს. შლეფის აწვევა ისე, როგორც ეს სცენაზე დაინახეთ, მაღამ სანენეს მოუხდებდა, მაგრამ მელოს არა. თამამც საქმე გაუტარა, ძლიერ გიჟებოდა და ბოლოს (უესკრულის პირთან) სრულიად დაიშოლა, მხოლოდ „ტალღების“ მაგიერ წაჩხვებულელი ერთმანეთს შორიდებოდნენ. ტანი-სამოსი, სიარული სრულიად არ შეესხამებოდა როლის ხასიათს.

ტასო აბაშიძე ზალიყის როლში საუცხოვოდ, ტიკრეჯა ბიჭუნა იყო. ასეთი როლები ტასოს სტიქიაა.

არა უშავდა რა ბ. მურუსიძეს ლეო ბუქჩუაძის როლში, თუმცა ამ მსახიობს სცენაზე თვის დაჭერა არ უნებრებდა: იგი ცდილობს ლამაზ პოზებში გამოჩენას და ეს სრულიად აფუტებს, თავისუფლება სცენაზე თავდაპირველი საკტიროება და პირობაა მსახიობისათვის.

საუცხოვო იყო „ყვებვა“ (ბ. გ. არაღლი-იშხენელი): მთის შვილის გულბერაკელი. მარტივი ხასიათი ზემდიწვენით დახატა მსახიობმა. ამისათვის ღვთის მადლით მას ყველაფერი უწყობს ხელს. კოწია და გიორგი (ბ. ბ. აბდუშელი და ფრანგიშვილი), მადლობა დღერის, რომ დიდხანს არ დარჩნენ სცენაზე და პიესაში მეტი ფრანგული არ კრია. სიმპატიური მიგერალი იყო ბ. მგალობლიშვილი, მხოლოდ ჩოხაზე „პაგონების“ დაკრება ხეირიანად არ ცოდნია. ძლიერ გადაწყვეული იყო ზურგისაკენ. სხვებზე არა ითქმის რა. ისინიც თამაშობდნენ.

რაც შეეხება პიესის დადგმას, თუ შეიძლება ამი-სგან რამის შექმნა, ბ. შალიკაშვილმა ეს მოახერხა.

ბოლოს წარმოადგინეს „ღარისპანის ვასპირი“ განსაკუთრებით ირჩეიდა ბ. ურუშაძე. უკეთესი ოსიკო ჯერ მე ქართულ სცენაზე არ მიწახავს და მეტი არ იქნება ვთქვა, რომ არც იქნება. ხალხი პიესას ცოტა დაესწრო. დასი კარგი, პიესა ახალი, ხალხი მაინც ცოტა. მახლას!

L.ami

**ძარტ. ღრამ. დასის წარმოდგენა**

„არტისტ საზ. თეატრში“, 15 ლეინობისთვის, მ. ქარელიის რეჟისორობით, საყურადღებო იყო იმით, რომ დაიდგა შილდერის ცნობილი „ყვარლები“, ა. ნავლი-შვილის თარგმანი, და საზოგადოება-კი... მაინც არ ჩანდა. აღმსრულებელთაგან დიდი ხელფანება გამოიჩინეს დი-დაშვილმა (ქარლოს მორი), ი. ზარდალიშვილმა (ფრანკ მორი), ვ. არაბიძემ (მოხეტე მორი) და ყალბბეგის როლ-მა (როლერი) და ა. შანშაშვილმა (პატერი). განსაკუთრებით პირველმა და მეორემ შესარულეს დიდს დაკვირვებით თავიანთი როლები, აღ. ყალბბეგის საუცხოვოდ, ბუნებრივი ხმა აქვს, არაბიძე იდეალური მოხეტეა. კარგები ყფენენ აგრედვე არ. ჩიქობე (ამალია), პ. კორიშული (შვიგვებოც) მ. ქიაურელი (დანიელი) ზოგიერთ ახალგაზდა მსახიობს ენა უბოროძიკება, თითქო როლი არ იცისო. არ ენატყებთო. ბოლო სურათი რომ არ დაედავთ, წარმოდგენა არას წააგებდა.

ქარის ქრალის დროს ცოტა არ იყოს ზოგმა გადა-ცილეს.

წარმოდგენას უფრო მოჟაფებები და ახალგაზდაბა დაესწრნენ.

შემდეგი წარმოდგენა 22 ლეინობისთვის, „ღალატი“.

**სახალხო სახლში**, 11 ლეინობისთვის. სახ. წარმ.

მართვლმა წრემ დასდა ტრ. რამიშვილის „მეზობლები“.

პიესა უკვე ცნობილია და მას ხალხი მუდამ ხალისით ესწრება. შინაისი ადმუტომა ცხრასადა წარმოდან.

როლები ამსრულებელთა შორის პირველობის ჯილოდა მ. გოციბოძეს ეკუთვნის, — იგი ნამდვილი სამხედრო ექიმო გრუშვესკვი იყო, თამაშობდა ბუნებრივად და სდად; კარგი იყო აგრედვე ვ. ნინიძე (სუთი-ძის როლში), კ. ხახანაშვილი (ღუარსაბ გელვანიძე) და ქ-ნი რომანიშვილის (მასა როლში). მეტად ბუნებრივად სთამაშობდნენ ახელი და მ. ქიაურელი

(ტუპუი და-ძმანი). ეს კია, კახელს თითქო ქართული ახლად შეუსწავლია და ენა ეერ გაუბეფითინია, ქსაჟი-რობა ქართულს მიაკციოს ყურადღება თუ ქართულ სცენაზე ჰსურს სამსახური. ა. ჩირგაძე (ქნ. კატო) და ს. ენკარა (ტასო) გამოცდილ მსახიობთა შთაბეჭდილებას სტოვებენ, და უფრო კარგები იქნებოდნენ, რომ

„აქტირობა“ დაევიწყნათ: ყველამ უნდა იცოდეს რომ თანამედროვე სათეატრო ხელოვნება მხოლოდ და მხოლოდ სისადად, ბუნებრივად ითხოვს. გ. ჯაბაური ისევ ძველ ყოიდავ სთამაშობს: არც დამუშავებული ხმა, არც შეფერებული მიზერა-მოხერა, არც ტანისა-მოსის რიგაინად ჩატება, არც შეუფერებელი გიმიმი...

იგი ილიკო მენბაძიშვილის არღლილიც არ იყო. შ. ხონელი (რობერტ ადლდფიორი) გამოცდილ მსახიობს მოგაგონებთ, მატრაძისა (თამარი) სსარბეგლო მსახიობქალი დაგებდა, თუ იმეცადინა. რეჟისურის მხრით — პიესა საუცხოვოდ იყო დადგმული, თეატრი ხალხით ხასვე. აქ იყო ნამდვილი ხალხი (და არა საზოგადოება); ქანდარახე მაინც წესიერება ირვევოდა. ეს კი არ ვარგა.

უსხავნო

**ნაკალაღმეის სახალხო თეატრი**

ნაძალაღმეის თეატრი ამ ჟამად დიდ კრასის განხადას. ხუთ წელაწადაზე მეტია, რაც არსებობს და მაინც თავის დონეზე არ არის დაუქნებელი: განათება მეტია სუსტადა, მისაყად-ში ისე უწყავა, რომ უნდა ხიო ვერ მახვდებო, თუ იქ თეატრია, ზანტერში და სცენაზე ისე სხვად, რომ მსახიობის გრამი სუელ არა ჩანს, რის გამოისიობათაც იფუხავა იკარგება. რაც წინად გაკეთებულა, მას შემდეგ არაფერი არა აქვს შემატებულა; დეკორაციები ზირდალებით შესაკეთებულა. რეჟისორტასა და პუტაფიორის სსენება ხომ სუელ არა ჩანს. სცენას სუფერათ — კანტეს, არა შქირს რა, სამაეკეროთ ქალეია სუელ არ მოკუბებთაც; დამკუბობას შვიდ წუერთაგან მხოლოდ სამი დაჩქინდა, რომელნიც შეძლების და გვარად მუშაობენ. სესონი უკვე დაწყო.

ხელმძღვანელად მიაწვევას მსახურისა შპროსაფაროვი, რომელმაც წინადადება მისცა, ყველას ანიშნული ნაკულუდენება შეასრლოს. გამგებმა დაჯიბრდა და საქმეს შეუდგა კადეტ: თეატრის შედგენა უნებ დაწვეს, დოკუმენტი შეაკეთეს, რამდენიმე დამატებით. თეატრის გარეთ ანარქიულ ველად ტრანს დადი ფარის დადგმას. ამ ცენტრში მოწვეულ იქნება სიგანგებო საზოგადოება გამგებთან დახანჩენი წევრების სანჩეკად. სარეპერტუარო გამოსაძი ერთი თვის რეპერტუარში შეიმუშავა და რეჟისორს გადასცა. რეპერტუარში შეტანილია: „ღვინისცვალი“, „ტრანშიშვილიანი“, „ცხორება“-გვან: შვიდიანი, „ღამრტხუბუნია“ ინუთელიანი, „უბედური“-ნათქვამი, „უჩანება“-შედეგის, „მატარა“ კახა“-კახაიანი, „ღრმა მთებთან“-გულიან შვიდიანი „ხანუბა“ ცვატელიანი და სხვა. გამგებმა მოწვევებს სტენის მოყვარეთ, კახა და კონტა, ვისაც ქუსურს მისწავლია მიიღოს, გამგებანდას რეჟისორს ან გამგებანს წვეთი.

# წიგნილი ამბები

- ◆ **შემაღლი წარმოდგენა** გაიმართება არტისტულ. საზ. თეატრში\* ოთხშაბათს, 22 ღვინობისთვის. წარმოდგენილი იქნება „ლალიტი“ ალ. წუწუნავას რეჟისორებით.
- ◆ **ახალი ბანისამოსი** იკვრება „ლალიტი“-სათვის.
- ◆ **„ლალიტი“** 22 ღვინობისთვის დაიდგმის სრულიად ახალი მიზან-სცენებით. გრძობის სრულიად. ახალა, ალ. წუწუნავას წევრებისაგან მხატვარ შ. თოდის მიერ დაბატულ სურათებიდან შემუშავებული.
- ◆ **მართ. ღრმა. საზ.** ანგარიში იტყდება „სორაპანის“ სტამბაში.
- ◆ **მართვალ ქალთა კრება** შესდგა მცხეთაში ქ-ნ ვალენტინა მისურაძის თავმჯდომარეობით, რომელმაც დადგინა შეფარვის ფული და გაუგზავნა ქართულ-საბჭოთაში ამშენებელ კომიტეტს.
- ◆ **„სამრო“-ს, „ახალი“-ს და „ახალი კლუბი“-ს** მოსამსახურებმა დადგინეს თეატრად 10/10 გადახადან თეატრის ასაშენებელ თანხისთვის.
- ◆ **შემაღლი ალ. ქსანავა** ბრიუსელში (ბელგიაში) გასულ კვირას ჩამოვიდა. ამ კვირად თბილისშია და ქართულ ეურნალ-გაზეთებში აპირებს მუშაობას.
- ◆ **ღალღო მესხიშვილი დამწვრა თეატრის** ოთხშაბათს დილით ცხარე ცრემლით სტარდა. მსახური სწორედ ამ დილით ჩამოსულიყო და თეატრის სანახავად წამოსულიყო. ჩვენი თანამშრომელი შემოხვევით შეხვდა მსახიობს და როდესაც გამოვლანაპარაკა, ვულ-მოკლულმა მსახიობმა მხოლოდ ეს სიტყვა: „დაინთქ ჩემი საშობალო“, ხოლო მათის ქუთიას ვაგებავთ.
- ◆ **პირველი წარმოდგენა** ქართ. ღრმა დასისა გაიმართება 28 ღვინობისთვის საზ. საზ.
- ◆ **ღრამაშვიტაგან 8. შიუქაშვილი** თავისი პიესის „სიმბინჯის“ პონორარი თეატრის ასაშენებელ თანხისთვის გადასცა.
- ◆ **ოკუპირ სტუდია** საბათვლოდ სენის მოღვაწეთ პირველი პერიოდისა უწყე განიხილა, წესრიგში მოიყვანა და დასაბეჭდად განამზადა პრეზიდენტის თავმჯდომარემ გ. ან. ლასჩვილიმ და ამ დღეებში ღრმა. საზოგ. გამგებანს გადასცემს. როგორც ვიცით, ყრილობამ ამ ოქმების გამოკემა გადაწყვიტა. გამოკეპას უნდა მომზარებოდა ყრილობის წევრთაგან შემოსული ფული. დაახლოებით 800 მან. დაჯდება.
- ◆ **საგვარის კლუბის მამასახლისო** საზ. ზოგ დადგინა კლუბის წევრთათვის მართის გინგინური გასართობი-წარმოდგენების, ლექციების, კონკურტების და სხ. (რუსულად, ქართულად, სომხურად, თათურულად). პირველი წარმოდგენა გაიმართება ქართულად, რისთვისაც მიიწვიეს ქართ. ღრამ. დასის მსახიობნი.
- ◆ **მართ. ღრმა. საზ. კრება** მოხვდება კვირას, 26 ღვინობისთვის. კრებას წარმოდგენება ღრამ. საზ. გამგებანის მოქმედების ანგარიში, სარევიზიო კომისიის მოხსენება და 1914 წ. სავაჭურლო ხარჯთ აღრიცხვა. ამავე კრებად უნდა დაამტკიცოს 7 ღვინობისთვის არჩეული სათეატრო კომიტეტი.
- ◆ **მართვალ წარმოდგენების წინადადება** ბენი მუგდელი-საბოკოვი ილ-შქრებს თვისი კავიკიანი „Знак Тифлиса“-თი (№ 284). ოთხშაბათის, 15 ღვინობისთვის, ნოვრში, სწორია: **ღრმა. საზ. საზ. თეატრში**—„ღობრესკი“, არტ. საზ. თეატრში“—წარმოდგენა არ არის“. ამ დღეს ქართული წარმოდგენა იყო, „ყარალები“.
- ◆ **შენიშვნების პიესა**, „საქმრო“ სთარგნე ქართულად გ. მაღრაძემ.

## კლიპისტობა

(ლია წერილ ბ. ვიან ჯიქიან)  
 მოსკოვ კანონის მერვე მტნება ვასწავლიან: — „არა იშრო.“ ეს მტნება თქვენ შეკარად დაგორდეკვათ—ნაჯადეხათ ლიტერატურული ქურდობა, თუ ეს ახრი ასე გამოათქმის! აჯადიათ 1913 წლის „შინაური საქმეების“ № 22-24, ამოკადიათ ბ. კირილე წითისოფელიანი სიტყვა „ახლო-მასლო“, რომელმაც ავტორი თვით-ცნობიერებაზე სწორს, სიტყვა-სიტყვით გადათავიწავლიათ თავადან ერთი ნაწილი ამ სიტყვისა და თქვენა სასული დაჯიბკვით მტვომარე წდას თეატრა და ცხორებების“ № 18-ში. სთაურად გახმარათ ავტორის შირველი სიტყვა „თვითცნობიერება!... (სთაურად ვერ მთავიანხათ საკუთარი და თვით ამ სიტყვის შემდეგ დასმულ ნიშნების ცვლილებას არ შეგატანათ და სხ.) რათ იხებთ ასე?... შეიძლება სთადან მოწვეუბ ბოძანდებოდეთ, თეატრ ამ შემთხვევაშიც სთავადათ თქვენა საქმეად... დახეკეთ თვითაზრანების, თორემ ნაქურდალა აზრებით ფხან ვერ გახვალთ! ამას გარჩეით თქვენსაკე სასარგებლოდ და არ სხვა რამე მიხინთ \*).

იპოლიტე  
 30 აგოსტო 1914 წ.  
 \*) ვებოდეთ ამ წერილს ან. კირილმა კლორსანთა საყურადღებო, რომელიც შეგინებთ თუ შეგინებლად, სხვათა ღონების ნაწარმოებს თვითად ასაღებენ. ასეთი საქციელი არცერთად არ შეიძლება შევლდამთ, თორემ ქვეყანაში ვერ ვიქნათეულდებენ!...და, ერთხელ და სამუდამოდ უნდა იან, რომ ასეთი საქციელი არცერთად არ შეიძლება გამოკლუნდებ, მის ჩაბნთარეინ. თბილისში და სმარცხინო ბოძებ გააკრობს.

Дозволено военной цензурой.

რედაქტორ-გამომცემელი ანნა იმედაშვილი